

კანი ვართ
ქართველი

გაცი რაზედაც ამანებულა

ვაშა - ვეაველა

გაზა-ვებაველა

კანი ვართ
ქართულნი

გაცი რაზედაც აშენებულა

თბილისი. საქართველო
2011

არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ ადამიანი
თავის ცხოვრების აკარგის მიზეზს არ ეძებს, საკეთი-
ლოს არ ახეირებს და მავნებელს არ სპობს, ცალკე
ადამიანი, ერთი ღერი კაციც ჭი ვერ წარმართავს
კეთილად თავის ცხოვრებას, განაღამც ერმა შესძლოს
უამისოდ.

ვაფა-ვალე

ჩემი ველობა

ღმერთო, მიიღე კედრება -
ეს ჩემი სათხოვარია:
არ დამეკარვოს გულიდამ
მე შენი სახსოვარია!
გულს ნუ გამიტებ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრკელადა;
ვფხიშლობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა.
ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა;
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა;
არ წამიხდინო, მუცევებ,
ეს ჩემი წმინდა ხელობა!
მაშრომე საკეთილოდა,
თუნდ არ მოვიმქო ნაყოფი,
შვილთ საგძლე არ გამიხადი
ჩემი მუდმივი სამყოფი.
გულს ნუ გამიქრობ ლამპარსა,
მნათობს ტრფობისა შეშითა,
ნუ მავლევ ქვეჭანაზედა
გაცივებულის ლეშითა, -
თვალებში მაღლ-დაკარგულსა,
შუბლზე გაქრულის მეშითა.
ნუ დაუკარგავ ჩემს სატრფოს
მაღლს, გულზე ცეცხლის მდებელსა,
ნუ დაუძვირებ ოცნებას,
შენს ხმას, სხივ-გამომლებელსა:

სიცოცხლედ უღირს ბეჩავსა,
გძახის თავის მხლებელსა.
გულს დარდი გამიღიადე
იმ სანეტარო საგანზე,
დაწერე ფიქრი, ღრმა, მწვავე
ჩემის გონების საბანზე!
გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი
მშიოლ-მწყუროდეს, კეთილი,
ვერ გავძლე, მოვავდე მშიერი...
ნუ დამასკენებ ნურადროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული;
როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობა საღადა, -
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლალადა.
მუარავდეს შენი მარჯვენა,
კალთა სამოსლის შენისა,
სანამ არ მოვა ღრო-ჟამი
სულ ბოლო ამოქმენისა.
სული - შენ, ღემი - მიწასა,
აღარა ვვლოვობ ამასა;
თავზი - წყალს, ცასა - ვარსკვლავი,
მვილი - დედას და მამასა.

ქართველები ისეთი ხალხი
ვართ, რომ ბევრს შემთხვევაში
თავის გრძნობას, თავის თვალებს
და ფურებს როდი ვენდობით;
უსათუოდ სხვამ უნდა გვიკარ-
ნახოს ის, რაც ფურით გვესმის;
სხვამ უნდა მიგვითითოს იმაზე,
რასაც ჩვენი თვალითა ვხედავთ;
მხოლოდ მაშინ დავიჯერებთ,
მაშინ ვიძახით: ბიჭოს, ეს ხომ
მართალი ყოფილა და არ ვი-
ცოდითო! გვიკვირს და ვოცდებ-
ით იმის გამო რომ ცუცხლი მწ-
ვავე ყოფილა, ყინული ცივი და
მგელს ცხვრის ჭამა სცოდნია.

„გიკვირთ?“ 1909

ცოტა რამ ჩვენის ცხრილების აპ-კარგისა (ზოგადი შენიშვნები)

აზრის წარმოთქმა რომელიმე საგანზე თვით საგნის შეუსწავლელად და შეუგნებლად მხოლოდ რეგვენს აღამიანს შეუძლიან. რეგვენი, უმეცარი აღამიანი მსჯელობაში მუდამ თამამია, გამედული. იმას, თუ ცოტა ოდნად აქვს ძალ-ღონე მსჯელობისა, ოდნავ მაინც ამოძრავებს გონებას და რაიმე აზრმა გაუზრბინა თავში, მაშინვე თავის თავი წარმოუდგება თვალწინ და თამამად იტყვის: ჰა, ვიპოვე, ნამდვილია! სწორედ ასეა. მაშ რად მომივიდა თავში ეს ფიქრი თუკი ნამდვილი არაა?! „მომივიდა ფიქრად“ იმისთვის სრულიად საკმარისი სიმართლის, სინათლის სათქმელად და დასაძევიდრებლად.

დიალ „მომივიდა ფიქრად“ - ო, ამან ძალიან განზე გაშალა ჩვენში ფეხები: მოუვიდა ერთს ფიქრად, პოეტი უნდა ვიყოვთ და გახდა კიდეც; მოუვიდა მუორეს ფიქრად გაისტორიკება, გაისტორიკდა. მოუვიდა მესამეს ფიქრად, უნდა საქართველოს საქმეთა მოთავედ გავხდეთ, გახდა. მაშასადამე, „ფიქრად მოსვლას“ ძალ-ღონე ჰქონია? აქვს და მაგრე! ფიქრად მოსვლა შეიცავს წადილს, ნდომას; თუ კაცმა არ მოინდომა, ვერაფერის გააკეთებს; ეს ცხადია: კოლუმბს, რომ ფიქრად არ მოსვლოდა კიდევ სხვა ქვეყანა უნდა არსებოდესო გარდა იმ ქვეყნებისა, რაც იმ დროის კაცობრიობაშ

იცოდა, ხომ არ აღმოაჩენდა ამერიკას? პო, ეს მართალია, მაგრამ ის კოლუმბი იყო და ჩვენებური კოლუმბები სხვა ჯურის კოლუმბებია, ფიქრად არა კმარა მარტო, ფიქრს უნარიც უნდა შესწევდეს. ამას ესენი არ დაგიდევენ, რადგან მარტო „ფიქრად მოსვლაა“ საჭირო და სხვა არა-რა. რადა? მადა, რომ უკაცრავად თუ არ ვიქები ამ სიტყვაზედ, ჩვენი საზოგადოება ჯერ კარგა მანძილზე უკანა დგას დაწინაურებულ ერთა საზოგადოებაზე და იმიტომ შეუძლიან იქ ყოველ გვარმა რეგვენმა აზრმა, რეგვენმა კაცმა ინავარდოს. როცა საზოგადოებას მართალი სასწორ-საზომი არ უჭირავს ხელში და, ანუ, უკეთ რომ ვსოდეთ, სრულიადაც არ მოეპოვება ისინი, რა თქმა უნდა იმისთანა საზოგადოებისაგან ფულისა და გულის მოგება ადვილია: გირვანქა შეგიძლიან ათ გირვანქიანად ამუშავო, გოჯი — ადლად...

ეს „ფიქრად მოსვლა“ კიდევ რაც არის — არის, ჯანდაბას იმისი თავი და ტანი, უბედურება ისაა, ხანდახან მის ადგილს იჭერს ფიქრის ჩაძახება. ჩაძახებ და ამოგდახებს ქაცრივით. ნუთუ ეს ის ცუდი თვისებაა კაცის გონებისა, სულ სხვის ფიქრი მიიღოს, გაიზიაროს?! ესეც ისევ კაცზეა დამოკიდებული: იმ ჯურის ადამიანთვის, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ, მეტად საშიშად მიგვაჩნია: ამ გვარის ხალხს შეიძლება მაღლიანმა კაცმა მრავალი მაღლი ჩაადენინოს, მაგრამ უმაღლერმა და უმაღლომ კი მრავალი ცოდვა, ბევრი სამავნეო; ამ გვარნი კაცნი სხვის ხელში იარაღად ხდებიან, მუშაობს იმათის საშუალებით სხვა, ერთი ან ორი ადამიანი სჩარხავს თავის საქმეს, ბევრს შემთხვევაში, უკუღმართს, ქვეყნისთვის საზარალო, საზიანოს. ისინი მაინც საიმედონი არ არიან, არ არიან იმიტომ, რომ დღეს აგებულს ციხეს ხვალ წიხლსა პკვრენ და დაშლიან. გუშინ ვისაც „ვაშას“ მოუძღვნიდნენ, დღეს იმაზე „ჯვარს აცვითო“, იძახიან. რატომ? მიტომ რომ დღეს სხვამ სხვა ფიქრი ჩაძახა...

* * *

ნუ გვონიათ ეს „ფიქრ მოსული“ და ეს „ფიქრ ჩაძახებული“, თუ შეიძლება ახე ვსოდეთ, ბრძო იფოს უსწავლელი, უძეცარი. არა, ისინი თავიანთ თავს „ინტელიგენციას“ ეძა-

ხიან. ეხლა თქვენ იფიქრეთ, თქვენ თითონ ივარაუდეთ რა აზრს შეიმუშავებს ამ გვარი ინტელიგენცია თავის ქვეყნის შესახებ, ან რა გზას აირჩივს სავალად? იმათ კერ მოვთხოვთ კურაფერს პროგრამას მოქმედებისას, გარკვეულს შეთანხმებულს ჩვენის ცხოვრების საჭიროებასთან. კერ მოვთხოვთ იმათ აგრეთვე აზრს, იდეას მართლა ჩვენის ქვეყნის სასარგებლოს და გამოსადევს, რადგანაც თუ რამ უსწავლიათ, უფრო სხვა ერთა ცხოვრებისა, ისტორიისა, კიდრე თავისა. რა აზრი მოვთხოვება ამ გვარს ინტელიგენციას, როდესაც მან არ იცის წარსული თავის ერისა, არ იცის თვისება, ღტოლვილება იმის სულისა და გულისა, - არ იცნობს მის გონიერივს აგებულობას, არ იცის საზოგადოდ რომ ვსოფვათ, მისი სოციალური ყოფა-მდგომარეობა?! ამიტომ უცხო ერთა ცხოვრებაზე დაწერილს აზრს, მაშასადამე, ჩაძახებულს ფიქრს იმეორებს... აზრებშიაც გარჩევა როდი იცის: საპირადო, საოჯახო, კერძო აზრი საერთო, საქვეყნო აზრად მიაჩნიათ. ქაიხოსროს მეცხვარე სჭირდებაო და უსათუოდ, მოელო საქართველოვ, უნდა თავსამტკრევად გაიხადო ეს საგანი - სესია ურჩევნია ქაიხოსროს მწყემსად თუ ბესია?! სხვა აზრი, სხვა ფიქრი რაღა საჭიროა ქვეყნისთვის. ამ საგანს უნდა მიაყროს მოელი ძალა სულისა და გულისა. თუ ქვეყნისთვის პზრუნავ, თუ გინდა საქვეყნო საქმე აქეთო, შე კაი კაცო, უნდა თვით საგანი იყოს საქვეყნო; ქაიხოსრო ქვეყნა არ არის და არც სესია, ბესია წარმოადგენს საზოგადოებას; არც მწყემსობაა ისეთი შესანიშნავი და სამნელო რამ. მოელმა ქვეყნამ იმაზე იფიქროს. სულ სხვა საქმეა, პრეზიდენტად რომელი აჯობებს, სესია თუ ბესია. პრეზიდენტობა საქვეყნო საქმეა და საქვეყნო საქმის მმართველად ვინა გინდა არ გამოდგება, იმას ქვეყნა სიხოვეს თანხას გონიერივს და ზნეობრივს; თუ ერთი მათგანი აკლია, მამის უნდა თავისითვის იჯდეს კერაზე და არ ეჩირებოდეს საქვეყნო საქმეში. ან კი ვინ ჩასჩინავს? ვინ დააყენებს იმას ქვეყნის საქმეთა მმართველად და მესვეურად? თუ დააყენებენ, ისევ ფიქრ მოსულნი, ფიქრ ჩაძახებულნი და არა საკუთარს ჭკუით მომქმედი ხალხის კრებული. ამავე ფიქრ

მოსულმა „ინტელიგენციამ“ მოიგონა ვითომდა ახალი. აზრი: მეზობელ ერთან კეთილი განწყობილება ვიქონიოთ. ერთი პკითხეთ, როდის არა პქონია საქართველოს კეთილი განწყობილება ამ მეზობელ ერთან? ან როდის და ვის უფიქრია იმათი გაძევება საქართველოდამ ან გაულეტა?! ჯერ ურიები, დუნილნი მთელს ევროპაში, თავშესაფარს მხოლოდ საქართველოში პოულობდებ და ეს მეზობელი ერთ ხომ დიდი ხანია, რაც ჩვენი მეზობელია და ჩვენ იმისი, ხოლო მეზობლიბის წესს რომელიც დაარღვევს, იმას კი განსამართლება, განსჯა უნდა და არა ყვირილი: „მეზობლები ვართ! მეზობლებით!“ ვერაფერი ერთს აღმზდელი აზრი გახლავთ. ეს იცით რასა პგავს? ქაცას სცემდე და იმას უყვიროდე: ხელი არ გაიქნიო, ხელი არ გასძრა, ხუმრობა საქმე არ არის, მაღლიდამ ღმერთი პხედავს მტყუანსა და მართალსა... ამ გვართ აზრების ქადაგებას არა უშავდა რა კიდეც, რომ ისე კითის სხივით არა პმოსავდენ, თითქოს ქვეყნის წყლულთა წამალი მხოლოდ ეს არის და სხვა არარა, რომ მთელი ქვენის ფიქრს არ აშორებდენ უმთავრესი აზრიდამ, საგნიდამ და არ აცდენდენ ამ ასკუპდი-გადასკუპდის ცქრაში. ამ ვაუბატონებმა ჯერ ის უნდა იცოდნენ, რომ ჭრი შეერთებულად გენიონსია, იმას შაიძლება გარკვევით არ ესმოდეს თავისი ძღვომართობა, მაგრამ უეჭველია, რომ გრძნობს კი. ან ეს რა ლოლიკა: შეაძლო ან შეაყვარო რომელიმე ერთ ან ცალკე პირი წერით და ქადაგებით? ეს მხოლოდ მაშინ შაიძლება, როცა თვით ერთს არა აქვს იმ ერთან ან იმ ცალკე პირთან დამოკიდებულება; შესთხბა ფაქტები დიდებისა და ძაგლისა და ამით ჩაპრვო ერთს გულში ის გრძნობა, რომელსაც შენ ელტვი, მაგრამ იქ კი, სადაც ერთ თავის თვალითა პხედავს და მთელის თავის სხეულითა პგრძნობს, განძრას „აზრების“ თესა ამაռდ დროის დაკარგვაა. ნუთუ იმათ არა პსმენიათ ჯერ ხალხური ლექსი, თვით ერთს სიძლერა - „სიყვარული არ იქნება ძალითა!“, რომელიც შაიძლება ასე შევცვალოთ: „სიძლელვარეც არ იქნება ძალითა!“ ერთის სიტყვით რომ ვსოდეთ ამ „ფიქრთ მოსულთა“ ყოფა-ქცევა სწორედ ცხოველთა დამცველ საზოგადოების მისწრაფებას მაგონებს.

იქნება მკითხველს არც კი უფიქრია როდისმე, რა დაფარული აზრი აქვს ამ საზოგადოებას, ცხოველთა შემბრალებს, მცველს და მფარველს? აი რა: კაცთა საზოგადოება ყოველი შხრიდაშ დაფარული და დაზღვეულია, იქ ბედნიერება სდულს და გადმოდის, მხოლოდ შთენილან უმწეოდ, უპატრონოდ, პირ-უტყვნი, რომელთაც უნდა ჩვენ ვექმნეთ მცველად და პატრონადო.

მეტიდა იქნება ქვეყნისთვის თვალების ახვევა?

რა ნაკლსაც ჩვენს თავს
ვამჩნევთ, მტერი და მოკეთე
გვაყვედრის, ყველა ის, ჩვენის
უცოდინრობით და შეუგნე-
ბლობით გვემართება. ჩვენს ერს
რომ შეგნება პქონდეს, განა ესე
თავ პირის მტვრევით ვივლიდით
ცხოვრების გზაზე? განა ჩვენი
საზოგადო საქმეები ასე დაცა-
რული და განაცარტუტებული
იქნებოდა? შეგნებული მცოდნე
საქმისა, თუ მთელი ერი არა, უმ-
რავლესობა მაინც უნდა იყოს!

„ფიქრები“. 1902

სხვათა შორის

ჩვენი ცხოვრება სწორედ რომ სხვათა შორისთა: რასაც კუიქრობთ და ვაკეთებთ გამოდის რომ სხვათა შორის გვიფიქრია და გვიკეთებია. საწყენი ის არი, რომ უმთავრესს, უსაჭიროეს საქმესაც სხვათა შორის ვაკეთებთ. ვძირილობთ, კპედაგოგობთ თუ ვძევლმოქმედობთ გამოდის სულ სხვათა შორისებურად.

კუაზური დროება გახლავთ: ადამიანს მამის სული გაუშვას და მაპისას ფიცულობს. აღბათ წინად, ძველ დროშიაც, მომხდარა ამისთანა მაგალითები, თორებ ამისთანა ანდაზა არ დაიბადებოდა. დიალ, ყოფილა ამისთანა მაგალითები, მაგრამ ქვეყნა არ წარღვნილა, არც დაღუპულა. ამიტომ მეც იმედს არა ვკარგავ.

მომხდარა ისიც, რომ ბედაურები დახოცილიან და ვირებს დაპრჩენიათ ბურთი და მოედანი, მაგრამ ქვეყნა ისევ ქვეყნად დარჩენილა, გამოჩენილა კიდევ ბედაურები და ვირებისთვის დაუცლებინებიათ მოედანი. მომხდარა ისიც, რომ ბედაური აზრები დახოცილა ისე, როგორც გაზაფხულზე ყვავილები და ბალახი იხოცება და ვირები აზრებს უფართუაშიათ, მაგრამ დაძღვარა გაზაფხული და ბედაური აზრები ამძღვარან მკვდრეობით.

მომხდარა ისიც, რომ ძაღლს პატრონი ვეღარ უცნია და პატრონს ძაღლი, მაგრამ ბოლოს უცნიათ ერთმანეთი მაინც და მაინც.

მომხდარა ისიც, მაჩაბლის ცედლუტობის გამო ურია
დაუსჯიათ, მაგრამ, პხვდავთ, დღეს ვიცით ცხადად, ნათლად
დასასჯელი ვინ იყო, და ვინ დასაჯეს. სიმართლე გამოაშ-
კარავდა, არ დაიძალა: ვიცით დღეს ცხადად, აშკარად, რომ
ტყუილუბრალოდ დაისაჯა საწყალი ურია და გვებრალება,
ხოლო მაჩაბლზე ბრაზი მოვვდის.

ერი, უმრავლესობა რასაც დაადასტურებს უცვალებელია.
ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: ხმა ლვთისა-ხმა ერისაო...

* * *

სხვათა შორის, ჩვენს ცხოვრებაში ისეთი მაგალითებიც
მომხდარა, რომ სულელს (იქნებ ძალიან გულკუთილი იყო)
მამას და დედას დამშუული შვილებისთვის აურთმევია ტაბ-
ლა და სხვისთვის გადაუცია: თქვენ მიირთვით!.. ამაზე
ძეტი კაცთმოყვარეობა იქნებარა? რადა სწყინს ერს, ხალხს
და რად იმახის დაუწინებით: შინ რომ ბალლებს გიშიოდეს
გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო?! ალბათ ამისთანა კაცთ-
მოყვარეობა არ მიაჩნია ნამდვილ კაცთმოყვარეობად და იმი-
ტომ სივლის არა ბუნებრივ, არა ნორმალურ მოვლენად,
ეს თქვენ და თვით ერმა განსაჯეთ, მე არ შევდივარ ამის
განსჯაში; მე მხოლოდ აღვნიშნავ იმას, რაც მომხდარა და
რაც დღეს ხდება.

რად გიყვირსთ, მაშასადამე, რომ ჩვენში არიან ისეთები,
რომელთაც თავის თავი წარმოუდგენიათ ჭეყნის ლალად,
პატრონად, არა პირადი თავის ნაღვაწი, არამედ ერის საუნჯე-
ტერიტორია გახადონ საძმო, საკაცობრით ტაბლად და თვით
ერსაც აღებინონ ხელი ეროვნებაზე? გაივლის ყველა ეს,
დაპლევს ჩაილულის წყალს. მხოლოდ ეს არის სავალალო,
რომ ნამუსახდილ ბებრის სახლის კარებს გვიან გაუგდება
ურდეული...

მამ რევოლუციის ქარიშხალმა სრულიად უნაყოფოდ ჩაი-
არა ჩვენთვის? არა. იმან ერთი დიდი სიკეთე მოგვიტანა:
გამოამუდავნა ჩვენი გონებრივი სიღატაკე, მოუმშადებლობა,
ხალხის სიბნელე და დაპბადა მისწრაფება კულტურულ
მუშაობისა; დაგვახედებინა წინ, დაგვანახა ჩვენი გონებრივი
და ზნეობრივი ძალ-ღონე. დღეს ჭოველი შეგნებული ქა-

რთველი მიისწოდების ერში; ხალხში მეტი თვითცნობიერება, მეტი სინათლე შეიტანოს, ამისთვის არ პზოგავს დაეხმაროს ჯან-ღონით თუ ნივთიერად. ძალა მუდამ უმრავლესობაშია, მუდამ ეს ძალა, თუ შეუგნებელია, ბრძა, უფრო მავნებელია საქმისთვის. კიდრე მარგებელი. ეს მაგალითებმა დაგვიმტკიცეს.

განუვითარებელი, გაუზრდელი ხალხი, როგორიც უნდა დემოკრატიული მმართველობა დაარსდეს, მაიც მმართველთა სათამაშო ბურთი და სათლელი ღუმა იქნება. საიმედო პოლიტიკური მოქმედებისათვის მხოლოდ მომზადებული თვალახილებული ხალხია... ასეა სწორედ, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ხალხის გათვითცნობიერებას მხოლოდ დღესღა შევუდექით... დიქტატორებს და დემაგოგებს სწყინთ და უნდა კიდვაც ეწყინოთ, რადგან იმათ ბრძად აღარავინ დაემორჩილება და იმათ მუჟვებას აღარავინ აღიარებს, მაგრამ იმათ წყნასაც უნდა გაუძლოთ იმ დრომდე, კიდრე თავის გუდა-ნაბდით ჩვენს ბანაკში არ გადმოსახლდებიან. ვითომო? ჰქითხულობთ თქვენ. მე ასე მგონია, როგორც სხვათა შორის ავტორს და რა ვიცი. მგონია და საბუთიცა მაქვს ასე მეგონოს, რადგანაც მეტისმეტი ბრიტანი უნდა იყოს ადამიანი, რომ ერთს ფონში ორჯელ და სამჯერ ცხენი დაეფლას, სამჯერვე სხვის წყალობით გადაპრჩეს და მეოთხედაც კიდვე მიჩრჩებდეს იმ ფონში გასასვლელად. ამისთანა ადამიანი, გინდ იქით იყოს, გინდ აქეთ, არავისთვის სახარბიელო არ არი.

საცა ვცხოვრობთ, და რომელ
ქვეყნის შვილებიცა ვართ, რომ-
ელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყ-
ლით და ჰაერით ვსაზრდოობთ,
იმას ვარგოთ რამ, ვაკეთოთ იმის
სასარგებლოდ ჩვენის ძალ-ღონის
დაგვარად რაც-კი შეგვიძლიან,
რომელი ასპარეზიც უნდა იყოს
— ეპონომიური, ზნეობრივი, პედა-
გოგიური, ლიტერატურული და
სხვა. თუ ჩვენთვის და ჩვენის
ქვეყნისთვის ვიქებით კარგი,
ჩვენს საკუთარს შინაურს საქმეს
წავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი
კაცობრიობისათვისაც სასარგე-
ბლონი ვიქებით. თუ არადა,
ტყეილი მოცდენაა, ამაო შრომაა,
ვინც იმას ამბობს, კაცობრიობას
უნდა ვარგოვთ და ეს სარგებლო-
ბა ჯერ თავის ძმებისათვის ვერ
ძოუტანია, თავისი ქვეყნისათვის —
რომლის ღვიძლი შვილია, — რომ-
ლის ავი და კარგი ესმის.

„საახალწლო ფიქრები“

პრიმოპოლიტიზაცია და პატრიოტიზაცია

ზოგს ჰერნია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი კონიური კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, - რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მოელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მოელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მოელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრედვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუ-

როს მთელის თავის ძალლონით, თანამომმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც კონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოგდება შშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე ჭუმაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამომმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

კველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო - მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მოუხვდავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „პამლეტით“, „მუფე ლირით“ ვერც ჯრთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს სად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნდა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? - არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაფვანებელი, ხელო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაქენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციო-

ნალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური ძლიერებით, თავის სოციალური ყოფის ავტორი, მოსახურეთ დღევანდელი ეკონომიკური უკუდმართობა და, უმჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაქანა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავ წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა პაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რბე - საზრდოდ, ნანა - მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან პერსონალი, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, - ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისთანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი შვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდაც უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჭვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას შხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკვისა, საღის

გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე
მეტად არ უყვარდეს, ან ურთი რომელიმე კუთხე. რატომ?
- იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს აღგილას ხომ
არ იძალება, არამედ ერთს აღგილას უნდა დაიბადოს, ერთს
ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰქავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას,
ჩველა ერები ერთნაირად მიყვარსო, - სტყუის, თვალთმაქ-
ცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით
არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი
ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს
და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე
ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის საშმობ-
ლოდ...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონ-
ებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის
მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზ-
მი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა,
მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ
უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს
კაცობრიობას თავს დასტრიალებს.


ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარ-
დეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკუთილდღეოდ,
ნუ გმულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათოვის ბედნიერე-
ბა, ნუ შეუმლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ
შენი საშმობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს
მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის
ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის
მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად
დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულე-
ბას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე
გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნე-
ბაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა
უარპყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს,

რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუკაროს
თაგს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-
ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა
მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

1905

ჩვენ კაცთა ბუნების წესია
მოლოდინი საუკეთესო მერმისრ-
სა: უსათუოდ ხვალინდელი დღი-
საგან მოველით რასმე კარგს: ეს
გვასულდგმულებს, გვამხნევებს,
ძალას გვიმატებს, ყოველდღიურ
ვარამს გვინელებს გულში და
სიცოცხლესაც გვაყვარებს. კაცი,
რომელიც ხვალინდელი დღისა-
გან არაფერს მოელის, გადუწყვე-
ტია იმედი, ცოცხალ-მკვდარია, ის
ცოცხლებში ჩასათვლელი არაა....

„სახალწლო ფიქრები“



ଓ ১ ৬ ০ ৭ ৮ ৮ ৩ ৬ ১ ০ ১
ক্ষেত্ৰবিশ্ব সাহিত্য একাডেমি